შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.776)

15 - 22 აპრილი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.4

ქართული ქართველთ რწმენაა...

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

გიორგი კვირიკაშვილი – ჩვენ გვაქვს საკმარისი რესურსი, რომ ყველა რეგიონი თანაბრად იყოს განვითარებული, თუმცა სამწუხაროდ, ასე არ არის

გვ.2

გვ.2

გერმანიის დაფინანსება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას მოხმარდება

9 აპრილი-ტრაგედია, რომელმაც საქართველოს თავისუფლება მოუტანა

გვ.3

გვ.2

საკრებულოს სხდომაზე

სააღდგომო საჩუქარი

გვ. 2

ქურციკი საქართველოს უბრუნდება

გვ.5

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილი - ჩვენ გვაქვს საკმარისი რესურსი, რომ ყველა რეგიონი თანაბრად იყოს განვითარებული, თუმცა სამწუხაროდ, ასე არ არის

ჩვენ გვაქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ყველა რეგიონი თანაბრად იყოს განვითარებული, თუმცა სამწუხაროდ, ასე არ არის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, 21-ე საუკუნეში გეოგრაფიული მდებარეობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას განათლების, ჯანდაცვის მიღების თუ სხვა თვალსაზრისით.

"ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენი ქვეყანა დავაყენეთ სტაბილური განვითარების გზაზე და ამით ვქმნით ახალ რეალობას. დღეს ჩვენ ნამდვილად გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ წარმატების სრულიად ახალი ისტორია, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს ექნება ყველა პირობა ღირსეული ცხოვრებისთვის. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის განვითარების გეგმა, ის 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ შეიმუშავა, გარდამტეხ როლს შეასრულებს საქართველოს სწრაფ განვითარებაში და სრულიად ახალ შესაძლებლობებს შექმნის ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის. მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტი არის სივრცითი მოწყობა. სწორედ სივრცითი დაგეგმვა წარმოადგენს თანმიმდევრული და სწრაფი განვითარების მყარ საფუძველს. ქვეყნის სივრცითი მოწყობის გეგმაში მთლიანად არის გათვალისწინებული საქართველოს, მისი თითოეული რეგიონის და ადგილის უნიკალურობა და პოტენციალი. ჩვენ საკმარისი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ყველა რეგიონი თანაბრად იყოს განვითარებული, თუმცა სამწუხაროდ, ასე არ არის. 21-ე საუკუნეში გეოგრაფიული მდებარეობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას განათლების, ჯანდაცვის თუ სხვა თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია ხელმისაწვდომი პირობები შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის ყველა წერტილში", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

ზვიად ძიძიგური - კონსტიტუცია იცვლება კარდინალურად და იცვლება უკეთესობისკენ

ბოიკოტის არავის ეშინია - კონსტიტუცია იცვლება კარდინალურად და იცვლება უკეთესობისკენ, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა განუცხადა.

"არა მგონია, ბოიკოტით ვინმემ რამე მოიგო. როდესაც პროცესს ბოიკოტს უცხადებ, შენ თვითონ რჩები პროცესების მიღმა. ეს არის ძალიან მწარე რეალობა, რომელშიც ბოიკოტისტი პარტიები აღმოჩნდებიან ხოლმე. ბოიკოტის არავის არ ეშინია. კონსტიტუცია იცვლება კარდინალურად და იცვლება უკეთესობისკენ. ეს იციან ჩვენმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა, ექსპერტებმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა. საკითხების ულტიმატუმის ფორმით დაყენება მთლად ჭკვიანური საქციელი არ არის, რადგან ულტიმატუმის ენით ლაპარაკი არც საკონსტიტუციო კომისიაში და არც პოლიტიკურ პროცესებში ეფექტური არ გახლავთ", - განაცხადა ძიძიგურმა.

კითხვაზე, ოპოზიციაში ყოფნის შემთხვევაში, პირადად მისთვის და "კონსერვატიული პარტიისათვის" რამდენად მისაღები იქნებოდა საარჩევნო სისტემის მიმართულებით შეთავაზებული ცვლილებები, რითაც მმართველი პარტია გამოდის, ძიძიგურმა განაცხადა, რომ მას ეს ოპოზიციაშიც ძალიან მოეწონებოდა.

"მუდმივად, რაც მახსოვს და, ოპოზიციაშიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი, ძველ პერიოდში და ახლაც ყველა ოპოზიციური პარტია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითხოვდა. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ხორციელდება. ახლა ის, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლისთვის რაღაც ტიპის საკითხები ოპოზიციას მოსწონს ან არ მოსწონს, ეს არის მეორე რიგის საკითხი. სისტემური ცვლილება, რაზეც მუდმივად იყო მოთხოვნა, ხორციელდება", - განაცხადა ძიძიგურმა.

ძიძიგური იმასაც ამბობს, რომ ძალიან კარგია საარჩევნო ბლოკის შექმნის აკრძალვის ინიციატივა, რაც საქართველოს კონსტიტუციაში იდება, რადგან ეს პარტიების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, მათ შორის "კონსერვატიული პარტიისთვისაც".

"ყველა პარტიისთვის, რომელიც დღეს უმრავლესობაში შედის, სურვილის შემთხვევაში, გახდეს დამოუკიდებელი მოთამაშე პოლიტიკურ სცენაზე, ძალიან მაღალი თამასაა აწეული. ეს არის კარგი მოტივატორი პარტიის განვითარებისათვის", - აღნიშნა ძიძიგურმა.

საკრებულოს სხდომაზე

11 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს ფრაქცია **„რესპუბლიკელების" გაუქმება** და ფრაქცია **„ქართული ოცნება- ძლიერი მუნიციპალიტეტის" შექმნა.** ახალ ფრაქციას საკრებულოს წევრი **აპაკი ნატროშვილი** უხელმძღვანელებს.

დღესვე, საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას. ფარული კენჭისყრით ამ თანამდებობაზე იურიდიულ საკითხთა კომისიის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე **გოჩა სამუკაშვილი** აირჩიეს.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს საკრებულო უახლოეს სხდომაზე აირჩევს.

სააღდგომო საჩუქარი

13 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავჯდომრის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სათნოების სახლს ესტუმრნენ, ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო საჩუქრები გადასცეს. თავის მხრივ, ბენეფიციარებმა დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობას ყურადღებისა და მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადეს. გაცნობებთ, რომ სააღდგომო საჩუქრებს სულ 240 ბენეფიციარი მიიღებს.

კულტურის მინისტრი თეატრებზე

თავად თეატრის ხელმძღვანელები არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დამატებითი დაფინანსება მოიზიდონ და ამაზე ძალიან სერიოზული საუბარი გვექნება, - ამის შესახებ კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც მინისტრმა განმარტა, ძალიან მაღალი ხარისხის ჩართულობით, ძალიან მაღალი საჯაროობით, საერთო კონსესუსის შედეგად, იგეგმება დაფინანსების ახალი სისტემის შეთავაზება თეატრებისთვის.

„მე ვფიქრობ, ჩემი გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, თეატრის მმართველებმა და სამხატვრო ხელმძღვანელებმა ბევრად მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ", - აღნიშნა მინისტრმა.

როგორც მიხეილ გიორგაძემ განმარტა, მესამე წელია საქართველო არის შემოქმედებითი ევროპის წევრი, იმ პროგრამის, რომელიც სწორედ კულტურის და მედიის მხარდასაჭერად ევროკავშირმა შეიმუშავა.

„საქართველო, როგორც ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს შორის პირველი და ერთადერთია, რომელიც შეურთდა ამ პროგრამას. მესამე წელია, ერთი გამონაკლისის, მარჯანიშვილის თეატრის გარდა, არათუ დაფინანსება არ მიულია არც ერთ თეატრს, არც კი უცდიათ, რომ გარკვეულიყვნენ ამ პროგრამის შესაძლებლობებში, მოეძიათ პარტნიორები, შესაბამისი პროექტით შესულიყვნენ ამ პროგრამაში და დაფინანსება მიელოთ. ამის გარდა, არსებობს ევროკავშირის კულტურის და შემოქმედებითობის პროგრამა, რომელიც ასევე ძალიან აქტიურად მუშაობს საქართველოში და არაერთი პროექტი ფინანსდება, მაგრამ ჩვენი თეატრების ხელმძღვანელებს ყველაზე მარტივი და ადვილი გზა აქვთ არჩეული - სპეკულაცია ხშირ შემთხვევაში იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე 100%-ით საჭიროებებს ვერ აფინანსებს და ამბობენ, რა ვქნათ, ყურადღება არ ექცევა თეატრს, კულტურა პრიორიტეტი არ არისო და ა.შ. თავად ისინი არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დამატებითი დაფინანსება მოიზიდონ და ამაზე ძალიან სერიოზული საუბარი გვექნება.

საბიუჯეტო დაფინანსება თეატრებს უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ წლიდან წლამდე უსაზღვროდ, ულიმიტოდ საბიუჯეტო ასიგნებები გაიზრდება და ჩვენ გულზე ხელდაკრეფილები უნდა ვიჯდეთ და არაფერი ვაკეთოთ იმისთვის, რომ განვავითაროთ თეატრი და მოვიზიდოთ მეტი მაყურებელი",- განაცხადა გიორგაძემ.

როგორც მინისტრმა განმარტა, იქნება საუბარი საბაზისო გარანტირებული საჭიროებების უზრუნველყოფაზე და შემდეგ თითოეულ თეატრზე იქნება დამოკიდებული ის, თუ რამდენ დაფინანსებას მოიძიებს, რამდენ მაყურებელს მოიზიდავს.

დიმიტრი ქუმსიშვილი - გერმანიის დაფინანსება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას მოხმარდება

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰაიკე ფაიჩმა, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (SSE) გენერალურმა დირექტორმა სულხან ზუმბურიძემ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელმა კლაუს ფაიგელმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლის მიზანსაც საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოება წარმოადგენს, - ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს.

მათივე ცნობით, ამ მიზნისთვის გერმანია რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით 125 მილიონი ევროს ოდენობის კონცესიურ კრედიტს გამოყოფს.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემ ქსელთან ჰიდროელექტროსადგურების დასაკავშირებლად ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, რითაც გაიზრდება ელექტროგადამცემი ქსელის სიმძლავრე და ამაღლდება ამ ქსელის და ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოება.

დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა გერმანიის მთავრობას, აგრეთვე საქართველოში მომუშავე გერმანიის სამთავრობო ინსტიტუტებს - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და კფწ-ს, რომელთან ერთადაც ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში არაერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

როგორც ხელმოწერილი შეთანხმებების შეფასებისას, დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, 125 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი საქართველოს ენერგოქსელის გაფართოებასა და ენერგეტიკული სისტემის გაძლიერებას მოხმარდება, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, პროექტის განხორციელებით ამჟამად მშენებარე ჰესები გამომუშავებული ელექტროენერგიის როგორც შიდა ბაზარზე გაყიდვას, ისე ექსპორტზე გატანას შეძლებენ.

„გერმანიის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. დღეის მდგომარეობით, ჩვენთვის ხელმისაწვდომია 700 მლნ ევროს კონცესიური სესხები და გრანტები, რაც, გერმანიის მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. ეს ურთიერთობები და მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება", - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

თავის მხრივ, გერმანიის ელჩმა, ჰაიკე ფაიჩმა ხაზი გაუსვა ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობას საქართველოსთვის.

„წლევანდელი საქართველო-გერმანიის საიუბილეო წლის ფარგლებში ჩვენ ასევე აღვნიშნავთ ჩვენ სახელმწიფოებს შორის განვითარების სფეროში თანამშრომლობის 25 წლის იუბილეს. ენერგოსექტორში მართლაც წარმატებული თანამშრომლობა გვაქვს", - განაცხადა გერმანიის ელჩმა და დასძინა, რომ დღეს, უკვე თითქმის დაუჯერებელია, რომ 2000 წლამდე ელექტროენერგია, თვით დედაქალაქ თბილისშიც კი, ნაწილობრივ მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდებოდა მოსახლეობას. 1993 წლიდან გერმანიის მხრიდან ენერგოსექტორში მთლიანობაში თითქმის ნახევარი მილიარდი ევროს ოდენობის პროექტები დაფინანსდა.

პროგრამის „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოება, ფაზა 2" ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერით იწყება მრავალწლიანი ხელშეწყობის პროექტის ახალი ფაზა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თურქეთის მიმართულებით, გურიის რეგიონში გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება და ასევე, ეგრეთნოდებული „ჩრდილოეთის რგოლის" პირველი ფაზის განხორციელება, რომელიც ემსახურება საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჰიდროელექტრო-სადგურების ენერგოქსელში ინტეგრაციას.

გამგებელი მოსწავლეებს თანადგომას დაპირდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „კრეატივის" მოსწავლეებს შეხვდა. ბავშვები გამგებელს ესაუბრნენ სამოქალაქო განათლების პროექტის - „მომავლის თაობა" შესახებ, რომელიც ხორციელდება PH International-ი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ბავშვებს პირობა მისცა, რომ მათ ყველანაირ სასარგებლო წამოწყებას მუნიციპალიტეტისთვის მხარს დაუჭერს.



გილოცავთ!



ქრისტე აღდგა! გილოცავთ ! აღდგომა-ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

ქრისტეს აღდგომა დადასტურებაა იმის, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას, რომ სიყვარული ამარცხებს სიძულვილს, სიცოცხლე თრგუნავს სიკვდილს. ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზეც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ...

აღდგომის იდუმალ ღამეს ჩვენი სული თბება რწმენით, სასოებითა და სიყვარულით.

გილოცავთ სულიერი ამაღლებისა და საყოველთაო განახლების დღესასწაულს.

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი

აღდგომის დღესასწაული თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი უდიდესია ქრისტიანულ სამყაროში. მარხვითა და სინანულით აღდგომის ზეიმს ვეგებებით, რადგან ეს დღესასწაული სიხარულთან ერთად უდიდეს სასწაულთან ასოცირდება-სულიერი ამაღლებისა და სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებასთან. იესო ქრისტემ აღდგომის სასწაულით კაცობრიობას თავისი ღვთიური ბუნება უჩვენა და დააფიქრა ადამის მოდგმა მრავალ ფასეულობაზე. მან გამოსცადა აღზევებაც და გაცემაც, ღალატიც და ერთგულებაც, მაგრამ ამის მიუხედავად, ძე ღვთისას მისია ბოლომდე შეასრულა და ადამიანთა ცოდვები საკუთარ თავზე აიღო, 30 ვერცხლად გაყიდულმა გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე ტკივილის დათმენისა და მიტევების ღვთიური მაგალითები დაგვიტოვა. ქრისტეს აღდგომა არის ახალი სიცოცხლის დასაბამი, სიმბოლო განახლებისა და ნათელი მომავლისა, რომელიც კიდევ ერთხელ გვმატებს რწმენას, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ქრისტე აღდგა! გილოცავთ ქრისტიანული სამყაროს უდიდეს დღესასწაულს-ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. აღდგომა დიდი საუფლო ზეიმებიდან ერთ-ერთი და , შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი მოვლენაა, რომელსაც საქართველო და სრულიად საქრისტიანო განსაკუთრებულად აღნიშნავს. უმთავრესია, რადგან ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამის მოდგმა პირველყოფილი ცოდვისგან იხსნა. თუ რა დიდია ამ დღის მნიშვნელობა, ხილული სასწაული-მაცხოვრის საფლავზე ღვთიური ცეცხლის გადმოსვლაც ადასტურებს. ზეციური ცეცხლი ყოველ წლის დიდ შაბათს, აღდგომის წინა დღეს ენთება და ჩვენს გულებს ქრისტესა და მოყვასის სიყვარულით ათბობს. კაცობრიობის გამოსახსნელად განკაცებული და ჯვარცმული უფლის ძე, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა, უკვე ორი ათასწლეულია ერთმანეთის სიყვარულისა და შენდობისაკენ მოგვიწოდებს. ამიტომაც არ გვაქვს სხვანაირად მოქცევის უფლება. სიყვარულით უნდა მოვეპყროთ ერთმანეთსაც და ჩვენი ქვეყანაც სიყვარულით უნდა ვაშენოთ. ჩვენ ხომ ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მედროშეები და გუშაგები ვართ... ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!-ჩემო დედოფლისწყაროელებო, კიდევ ერთხელ სულით და გულით გილოცავთ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების შემწე.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

9 აპრილი – ტრაგედია, რომელმაც საქართველოს თავისუფლება მოუტანა

28 წლის წინ, ქართველი ერის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. მაშინდელ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შედეგადაც 21 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა ქალები, მათ შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც. დაღუპულთა გარდა იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-მდე მომიტინგე.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. 9 აპრილი საბჭოთა კავშირის სივრცეში იყო უნიკალური პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც საბჭოთა იმპერიას საფუძველი შეურყია, თბილისის ტრაგედიის შემდეგ, იგივე განმეორდა ბაქოსა და ვილნიუსში, რაც კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის დასაწყისად იქცა. 9 აპრილი იყო ქართველი ერის გმირობისა და თავისუფლების წყურვილის გამოხატულება, ტრაგედიის შემდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა იტყვის: „ისტორიაში დგება დიდებული წამები, როდესაც ერთად შეკრული ქართველი ერი წარსდგება უფლის წინაშე“.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორი წლისთავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ამდენად, 9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე, ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი.

9 აპრილი გაიხსენეს დედოფლისწყაროშიც.სიღნაღიდედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა, დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) სხვა მღვდელთმსახურებთან ერთად გადაიხადა.

„9 აპრილი მძიმე დღეა მთლიანად საქართველოსთვის. ახლა, როდესაც ამ დღეს დაღუპულ გმირთა მემორიალთან ვდგავართ, საოცარი სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ასეთი დიდებული მამულიშვილები ცხოვრობდნენ ჩვენს სამშობლოში. მადლობას ვუხდით მათ მშობლებს, რომ სასახელო და გმირი შვილები გაუზარდეს ჩვენს ქვეყანას. დღევანდელი დღე ორმაგი გრძნობის გამომწვევია - სიხარულისა და ტკივილის. ტკივილის იმიტომ, რომ ახალგაზრდა გულანთებული მამულიშვილები არაადამიანური წამებით მოკლეს და სიხარულისა, ვინაიდან ამ მსხვერპლმა შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შვილები ვართ. ჩვენი ვალია, ღირსეულად გავიაროთ ის გზა, რომელსაც ჩვენი გმირები ზვარაკად შეეწირნენ“ - განაცხადა გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ირაკლი შიოლაშვილი-„ არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებულ მისიას არგუნებს ხოლმე განგება. 9 აპრილის გმირები ასეთთა რიცხვს განეკუთვნებიან. მართალია, 9 აპრილი ტრაგედიასთან უფრო ასოცირდება, მაგრამ ჩემი აზრით, ეს დღე არის საზეიმო, რადგან სწორედ ამ დღეს, ჩვენ გავხდით თავისუფლები და დამოუკიდებლები. საქართველოს ისტორია გმირობის უამრავ მაგალითს ინახავს, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეთა საქციელი და თავგანწირვა ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. სწორედ ამ გმირების სიცოცხლის ფასად მივიღეთ ის ნანატრი დამოუკიდებლობა, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა ქართველი ერი“.

ნუგზარ პაპიაშვილი- „მე კარგად მახსოვს 9 აპრილი, ტრაგედიამდეც და ტრაგედიის შემდეგაც. მახსოვს ერთ მუჭად შეკრული ქართველი ერი, სულიერად ამაღლებული და სიყვარულით გაერთიანებული. მეორე დღეს კი დამწუხრებული თბილისი, როგორიც მე სხვა დროს არ მინახავს. დიდება იმ გმირებს, ვისი სისხლითაც მოვიდა თავისუფლება!“.

მხიარული სწავლება...

დღეს თანამედროვე საბავშვო ბაღებში პატარების აღზრდა ძირითადად ინტერაქტიული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს, იგი გათვლილია თითოეული მოსწავლის სარგებელზე და აქცენტი კეთდება აღზრდის ისეთ ფორმებზე, სადაც ყველა აღსაზრდელი აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესებში, ეს იქნება ღია მეცადინეობა თუ რომელიმე გეგმიური ღონისძიება.

12 აპრილს მიგვიწვიეს N3 საბავშვო ბაღში 5-6 წლიანთა ჯგუფის ღია მეცადინეობაზე, რომელიც ერთდროულად ორ დისციპლინას დაეთმო და ინტეგრირებულ ხასიათს ატარებდა. ჯგუფის პედაგოგმა ნანა სეხნიაშვილმა, რომელსაც უკვე წარდგენაც კი აღარ სჭირდება, თავის აღსაზრდელებთან, თანაშემწე ხათუნა მენთეშაშვილთან, მუსიკის მასწავლებელ ხათუნა ჯანაშვილთან და ძიძა ნინო ღორაშვილთან ერთად, მოწვეულ სტუმრებს საინტერესო, შემეცნებით და დეკორაციებით ლამაზად გაფორმებულ ინტეგრირებულ მეცადინეობაზე ტესტი ბრწყინვალედ ჩააბარეს და მაყურებელთა მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

სცენაზე შემოსულ გაზაფხულის ყვავილების ფორმებში გამოწყობილ გოგონებს გვერდს კურდღლების, ცხენების და სხვა შინაური ცხოველების ფორმებში გამოწყობილი ვაჟები უმშვენებენ. ნანა მასწავლებელი დისკუსიურ მეთოდს ანიჭებს უპირატესობას, რადგან საყოველთაოდ აღიარებულ ამ მეთოდში აღსაზრდელებს უკეთ უყალიბდებათ კომუნიკაციის უნარი, უვითარდებათ მეტყველების კულტურა.

მათემატიკისა და გარემოს გაცნობის ინტეგრირებულ მეცადინეობაზე პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებს:- წელიწადის რამდენი დრო გვაქვს, რამდენი თვეა თითოეულ დროში, თვეების სახელწოდებები, გაზაფხულის ყვავილების დასახელება, ეს გაკვეთილის პირველი ნაწილის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც პატარებმა წარმატებით გაართვეს თავი. მეორე ნაწილი ბოსტნეული კულტურების დასახელებისა და სოფლის მეურნეობის საკითხებისგან შედგებოდა, თითოეული დავალება კი მათემატიკური მაგალითების ამოხსნით სრულდებოდა. ბავშვებმა ათის ფარგალში დაფასთან იმუშავეს,ლუწი და კენტი რიცხვები ერთმანეთისგან გამოყვეს, გეომეტრიული ფიგურები დაასახელეს და ოთხივე მათემატიკური მოქმედების ცოდნა წარმოაჩინეს. სახალისო მეცადინეობა შოუს ელემენტებითა და საგაზაფხულო სიმღერებით კიდევ უფრო გაახალისეს გიგამ, სანდრომ, ლუკამ,ნინომ, ანამ, თათიამ, ბარბარემ, ნანამ, ნონამ... ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე.

ინტეგრირებული მეცადინეობის დასასრულს პედაგოგმა ბავშვებს ღონისძიება შეაჯამებინა და სთხოვა, დაესახელებინათ, თუ რომელი აქტივობა უფრო მეტად მოეწონათ მათ. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი პედაგოგისა და აღსაზრდელების ერთობლივ, დისკუსიურ მუშაობას.

ღონისძიების დასასრულს ნანა მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა ბაგა-ბაღის გამგეს მაია გონაშვილს განსაკუთრებული ყურადღებისა და სიყვარულისთვის პედაგოგებისა და აღსაზრდელების მიმართ. შემაჯამებელ მუშაობას ესწრებოდნენ ქალაქის ბაგა-ბაღების ხელმძღვანელები და პედაგოგები.ბოლო წლებია, ეს სიახლე წარმატებით მუშაობს ჩვენს საბავშვო ბაღებში და ჩვენი პედაგოგებისთვის ერთმანეთის ღონისძიებებზე დასწრება, სწორედაც, სიახლისა და წარმატების მომტანია ჩვენივე ბავშვებისთვის.

ინტეგრირებულ მეცადინეობას ესწრებოდა სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, რომელმაც ნანა მასწავლებელს და მთლიანად თავის გუნდს გულწრფელი მადლობა გადაუხადა თავდაუზოგავი და ერთგული მუშაობისათვის, რაც ასე საჭიროა იმ სისტემისთვის, რომელიც ბავშვებს ეხება და სადაც მხოლოდ მოვალეობა და პასუხისმგებლობა ვერაფერს იზამს, სადაც დიდი სიყვარულიცაა საჭირო.

იმავე დღეს N3 ბაღის 3-4 წლიანთა ჯგუფში პედაგოგ ქეთინო ჯალიაშვილის მიერ ჩატარდა ასეთივე ტიპის ინტეგრირებული ღია მეცადინეობა-მათემატიკასა და აპლიკაციაში.

ელზა ხარაშვილი

ქართული ქართველთ რწმენაა...

ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია ეროვნულობისა. იცავდე შენი ენის სიწმინდეს, ეს ნიშნავს, იცავდე შენს მეობას, ღირსებას, ერის კულტურასა და ისტორიას. ქართული საზოგადოებაც და ხელისუფლებაც მუდამ უნდა აცნობიერებდეს გრიგოლ ორბელიანის ცნობილ სტრიქონებს — „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“...

39 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე გამოსული რამდენიმე ათასი ადამიანი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას და არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

39 წლის წინ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხალხთა ენები სტატუსს კარგავდნენ იმ საბაბით, რომ ისინი ბოლომდე ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო ენების ფუნქციებს. ცვლილება, რომელიც საკავშირო კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შევიდა და რომელიც ქართულ ენასაც ემუქრებოდა, საქართველოს უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა, თუმცა, როგორც მაშინდელი მოვლენების აქტიური მონაწილე ვახტანგ ძაბირაძე იხსენებს, სიახლე მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

„ვინმე გამოკვეთილი ორგანიზატორი არ ყოფილა“, - ამბობს ვახტანგ ძაბირაძე. - „იყო მუხტი, რომელმაც თავისთავად მოახდინა საპროტესტო აქციის ორგანიზება. იყო აკაკი ბაქრაძე, მარიკა ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი ადამიანი, რომელიც ხმამაღლა გმობდა სიახლეს. ასე ნელ-ნელა შემზადდა 14 აპრილი.“

14 აპრილის შემზადებაში, როგორც ვახტანგ ძაბირაძეც ამბობს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ აკაკი ბაქრაძემ, რომელსაც უაღრესად დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაში და რომელსაც უსმენდნენ. აკაკი ბაქრაძის შვილი, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე ამბობს, რომ „14 აპრილი“ იყო საბჭოთა კავშირში პირველი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც გარკვეული დადებითი შედეგი მოჰყვა.

„ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი გარდატეხის წელი არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის ისტორიაში“, - ამბობს ლაშა ბაქრაძე.

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას პირველი ბიძგი სწორედაც რომ 1978 წლის 14 აპრილმა მისცა. ამ დღის მნიშვნელობას არ აკნინებენ მოქმედი პოლიტიკოსებიც, რომლებიც თვლიან, რომ 1978 წელს ენის დაცვა, იმავდროულად, იყო ქართველთა მიერ საკუთარი იდენტურობის დაცვა, იმ სახელმწიფოს დაცვა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა და რომელიც შეიქმნა ქართული ენისა და დედაენის დახმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას რწმენათან ერთად გამორჩეული ადგილი ეჭირა ჩვენი ერის ცხოვრებასა და ცნობიერებაში, საბჭოთა კავშირის მესვეურებმა ქართული ენის „ამოთხრა“ მაინც სცადეს. ენის დაკარგვის საფრთხემ მაშინდელ საზოგადოებას გმირობისკენ უბიძგა... გმირობას უკვალოდ არ ჩაუვლია.

იმ მოვლენების აღსანიშნავად და მშობლიური ენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოსახატავად ქართველმა ხალხმა დედაენას ძეგლი აუგო. ამ ჟესტით კიდევ ერთხელ განმტკიცდა პოეტ მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ფრაზა: „ქართული ქართველთ რწმენაა...“

14 აპრილი ოფიციალურად გამოცხადდა ქართული ენის დღედ, რათა ყველა ქართველმა კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი ისტორიას და მასთან ერთად გაიხსენოს 1978 წელი, როგორც ქართველთა გმირობისა და ერთად დგომის თარიღი...

ქურციკი საქართველოს უბრუნდება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთხელ ესტუმრა. ამჯერად მინისტრი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის რეგიონალურ დირექტორთან, გიორგი სანადირაძესთან ერთად, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე იმყოფებოდა, სადაც ქურციკის პოპულაციის აღდგენის პროგრამას ადგილზე გაეცნო. როგორც მინისტრს განუმარტეს, 2013 წლიდან, 4 წლის განმავლობაში ,აზერბაიჯანიდან 53 ქურციკია შემოყვანილი. ამდენად, სპეციალისტების მტკიცებით, გადაშენებული სახეობების აღდგენის პროგრამა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე წარმატებით მიმდინარეობს. ისინი მიიჩნევენ, რომ ვაშლოვანის ლანდშაფტი ქურციკებისთვის საკმაოდ ხელსაყრელია. ქურციკის აღდგენა დღეისათვის საქართველოს გარემოსდამცველების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ივრის ზეგანზე ეკოსისტემების გაჯანსაღება ამ ცხოველის გარეშე შეუძლებელია.

მინისტრი დადებითად აფასებს ქურციკების აღდგენის პროექტს და ამბობს, რომ წინა წლებისგან განსხვავებით ამჯერად შედეგის მიღწევა მოხერხდა.

გიგლა აგულაშვილი (გარემოს დაცვის მინისტრი): „დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ტერიტორია ბუნებრივი სამყოფელია ქურციკებისთვის და საუკეთესო გარემოა ამ პოპულაციის დამკვიდრებისთვის. დღეს ჩვენი თვალით ვნახეთ, რომ ისინი აქ მრავლდებიან, ეს ტენდენცია ბოლო წლებია შეინიშნება და აქ არსებული ბუნებრივი პირობები მათი გამრავლებისთვის შესანიშნავია. რაც ყველაზე მთავარია, არის ხელშეწყობა, როგორც სამინისტროს, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თავად ვაშლოვანის ადმინისტრაციის მხრიდან“.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი გადაშენებული სახეობების აღდგენის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და ხაზს უსვამს, რომ დედოფლისწყაროში ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ფონდის კავკასიის რეგიონალური დირექტორი, იმედოვნებს, რომ სულ მალე ქურციკის პოპულაცია საქართველოში მდგრადი გახდება.

გიორგი სანადირაძე (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის რეგიონალური დირექტორი): „მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული პერიოდულობით პირადად მოვინახულოთ ის ადგილები, სადაც გადაშენებული ქურციკების აღდგენას ვცდილობთ. რამდენჯერმე შემოვიყვანეთ ქურციკები, რომლებიც მხოლოდ დედოფლისწყაროშია გაშვებული. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედოფლისწყაროში საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს ეს პროექტი. დაახლოებით 50 ინდივიდი ისევ ვაშლოვანის ტერიტორიაზე იმყოფება. პერიოდულად ისინი საზღვარს კვეთენ, მაგრამ ამ ეტაპისთვის ჩვენთან ფიქსირდებიან. ისინი გაშვებული გვყავს, თუმცა მათი დანახვა ადვილად შეიძლება. ცნობილია ისიც, რომ ეს სახეობა საქართველოში დიდი ხანია გადაშენდა და აღარ დაფიქსირებულა. ბოლო ხანს ვცდილობთ ბუნების ეს სილამაზე აღვადგინოთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ მცირე პერიოდში მოვახერხებთ საუკეთესო შედეგის მიღებას და შევძლებთ მდგრადი პოპულაცია გვქონდეს საქართველოში.“

აქ არსებული ბუნებრივი პირობები მათი გამრავლებისთვის შესანიშნავია. რაც ყველაზე მთავარია, არის ხელშეწყობა, როგორც სამინისტროს, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თავად ვაშლოვანის ადმინისტრაციის მხრიდან

მას შემდეგ, რაც ვაშლოვანის ნაკრძალში მოწყობილ სპეციალურ ვოლიერებში გადაშენებული ჯეირანის აღდგენის პროექტმა არ გაამართლა და ყველა ინდივიდი დაიხოცა, 2013 წლიდან პროექტი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით კიდევ ერთხელ დაიწყო და ამჯერად ქურციკები ბუნებაში გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ მტაცებლის საფრთხე არსებობს, სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ეს მეთოდი გაამართლებდა და ტაქტიკის ცვლილება აუცილებელი იყო. მათ გადაადგილებას სპეციალური ყელსაბამი აფიქსირებდა, რის მიხედვითაც მათი მოძრაობის მარშრუტს პროექტში ჩართული სპეციალისტები აკვირდებოდნენ. მათი განმარტებით, ქურციკები პერიოდულად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადადიოდნენ, შემდეგ კვლავ ვაშლოვანის ნაკრძალში ბრუნდებოდნენ. გასულ წლებში დაფიქსირდა ბრაკონიერობის ფაქტიც. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ამ დრომდე არავინ დასჯილა. მტკიცებულებებით ვერ დადგინდა ვინ მოკლა დაცულ ტერიტორიებზე ქურციკი.

ქურციკები კი რამდენიმე ეტაპად, სააჩუქრად გადმოგვეცა და პროექტი იმის მიხედვით გაგრძელდება, რამდენად შევძლებთ მათ სათანადო მოვლა-შენარჩუნებას. ამ ფონზე კი ბრაკონიერების მიერ ქურციკის მოკვლის ფაქტი უარყოფითად აისახა როგორც ჩვენს იმიჯზე, ისე პროექტზე. რამდენიმე ინდივიდი მტაცებელმაც შეიწირა, თუმცა აღმოჩნდა, რომ საბოლოო ჯამში ნამატი რამდენჯერმე დაფიქსირდა და ქურციკებმა ახალი თაობების გამოზრდაც შეძლეს.

ბოლო სამი წლის მონიტორინგის განმავლობაში, 2015 წლის ივლისში, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ქურციკების გამრავლების დამადასტურებელი ფოტოების გადაღება პირველად მოხერხდა. გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფმა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე სხვადასხვა მონაკვთში 12 ქურციკი დააფიქსირა.

ამირან კოდიაშვილი, რომელიც ადგილობრივი კადრია და მრავალი წელია ამ სფეროშია, ქურციკებზე მზრუნველობა-მეთვალყურეობას თითქმის ყოველდღიურად ახორციელებდა. ის მაშინაც ჩართული იყო, როცა ქურციკები ვოლიერებში გამოამწყვდიეს. კოდიაშვილიც მიიჩნევს, რომ გარე საფრთხეების მიუხედავად, ქურციკების ღიად გაშვება სწორი გადაწყვეტილება იყო, შედეგმა კი მათი გადაწყვეტილების სისწორე რამდენჯერმე დაადასტურა. ის კარგად იცნობს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსაც და ამიტომ სამინისტრო თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მის რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებენ.

„ეს ქურციკები მონიშნული არიან სატელიტური ფორმით. აღჭურვილობა ყოველ 12 საათში ერთხელ გადასცემს იმპულსს. ჩვენ ვაკვირდებით ქურციკების გადაადგილებას და ვიცით, როგორ მოძრაობენ. იშვიათია, რომ მისი მარშრუტი არ დაფიქსირდეს. ეს შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში. ან უნდა გაფუჭდეს სატელიტური მოწყობილობა, ან უნდა გაანადგურონ. თუ ქურციკი არ მოკლეს, აპარატს ვერ გაანადგურებენ. მაგალითად, დათვმა რომ შეჭამოს ქურციკი, აპარატი იმდენად მაგარია, რომ დათვი მას ვერ დაამტვრევს“, — აღნიშნავს კოდიაშვილი.

ჯეირანი, იგივე ქურციკი გავრცელებულია მცირე აზიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში. წარსულში საქართველოს ფარგლებში ქურციკი გვხვდებოდა მცირე რაოდენობით შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში, საკმაოდ ბევრი იყო გარდაბნისა და სამგორის ველებზე, სადაც უწესრიგო ნადირობის შედეგად გაწყდა. ჯეირანი 33 კილოგრამს აღწევს. 1,5 წლის უკვე ზრდასრულია. მაკეობა 5-5,5 თვეს გრძელდება. აპრილ-მაისში შობს ერთ ან ორ თიკანს. ძირითადად ბალახეულით იკვებება.



იმავე დღეს გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ე.წ. „მიჯნის ყურეში“ არსებული ინფრასტრუქტურაც დაათვალიერა. მინისტრმა სასაზღვრო საგუშაგო „სამუხის ველის“ მესაზღვრეები, რომლებიც რეინჯერებს ტერიტორიების დაცვაში ეხმარებიან, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია მესაზღვრეების მხარდაჭერა ბრაკონიერებთან ბრძოლის საქმეში, ამიტომ სურდა სამინისტროს სახელით მათი შრომა დაეფასებინა და ყურადღება გამოეხატა.

„საკმაოდ აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერები, რომელთა დამსახურებით ბოლო ხანს უფრო ეფექტურია ბრაკონიერებთან ბრძოლა. მოხარული ვარ, რომ ვაშლოვანის ადმინისტრაციას და ჩვენს რეინჯერებს აქტიურად ეხმარებიან აქვე მოქმედი სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეები. ,“ - განაცხადა მინისტრმა.

სამინისტროში აცხადებენ, რომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გასულ თვეში რეინჯერებმა პატრულირების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით უკანონოდ შესვლა - გადაადგილების ფაქტები გამოავლინეს. სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ 3 სანადირო თოფი, რომელიც პოლიციას გადაეცა.

„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საპატრულო ჯგუფის მიერ, მორიგი შემოვლისას, გამოვლენილი იქნა დაცულ ტერიტორიებზე ცეცხლსასროლით გადაადგილების 3 ფაქტი. სამივე პირის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 89-ე 3 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით“,- განაცხადეს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები განსახილველად სასამართლოში გაიგზავნა. კანონით, სახელმწიფო ნაკრძალის და აღკვეთილის ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღის თანხლებით შესვლა-გადაადგილება აკრძალულია.

ილია მარტყოფლიშვილი

„დიდი შვიდეული“ მოსკოვს მოუწოდებს, შეწყვიტოს სირიის რეჟიმთან თანამშრომლობა

„დიდი შვიდეულის“ წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთისათვის სანქციების გამკაცრების თაობაზე, თუმცა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დასრულებისათვის აუცილებელია პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის გადადგომა, რასაც რუსეთიც უნდა დაეთანხმოს.

აშშ აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა გააკეთოს არჩევანი, სირიის საკითხში აშშ-ის მომხრეობა სურს, თუ გააგრძელებს ერთ ჯგუფში ყოფნას სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადთან, ირანსა და ლიბანის ექსტრემისტულ დაჯგუფება „ჰიზბოლაჰთან“, განაცხადა რექს ტილერსონმა იტალიის ქალაქ ლუკაში, სადაც 11 აპრილს დასრულდა მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების ჯგუფის, „დიდი შვიდეულის“, შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ასევე თურქეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროს, საუდის არაბეთის, იორდანიისა და ყატარის წარმომადგენლები. იტალიაში მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კვლავ გაიმეორა, რომ რუსეთს ეკისრება პასუხისმგებლობა სირიის ქალაქ ხან-შეიხუნზე განხორციელებულ ქიმიურ თავდასხმაზე, რაშიც აშშ და მისი მოკავშირეები სირიის რეჟიმს ადანაშაულებენ.

„აშკარაა ისიც, რომ რუსეთმა არ შეასრულა შეთანხმებები, რომლებიც ძალაში შევიდა გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთი რეზოლუციით. ეს შეთანხმებები რუსეთს მიიჩნევდა მთავარ გარანტად, რომ სირიაში აღარ იქნებოდა ქიმიური იარაღი. რუსეთი ვალდებული იყო მოეძებნა, დაეცვა და გაენადგურებინა ასეთი შეიარაღება სირიაში. ამ იარაღის საცავების არსებობა და მათი გამოყენება ცხადყოფს, რომ რუსეთმა ვერ შეასრულა 2013 წელს ნაკისრი ვალდებულება. არ ვიცით, რუსეთი სერიოზულად არ მოეკიდა ამ ვალდებულების შესრულებას, თუ სათანადო უნარი ვერ გამოავლინა, მაგრამ დაღუპულთათვის ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენ ვეღარ დავუშვებთ, რომ ასეთი რამ განმეორდეს“, - განაცხადა რექს ტილეროსნმა.

იტალიაში შეკრებილი „დიდი შვიდეულის“ ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრები ვერ შეთანხმდნენ რუსეთისა და ირანის, როგორც სირიის რეჟიმის მხარდამჭერი სახელმწიფოების მიმართ სანქციების გამკაცრებაზე. გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა განცხადებით, სირიის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში ერთობლივად უნდა ჩაერთოს რუსეთიც და ირანიც. „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაზე რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების გამკაცრებას მოითხოვდნენ დიდი ბრიტანეთი და კანადა. რაც შეეხება საფრანგეთს, პარიზი მიიჩნევს, რომ რუსეთმა უნდა დაასრულოს ასადის „თვალთმაქცური“ მხარდაჭერა. რუსეთს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადთან კავშირის გაწყვეტისაკენ მოუწოდებს ბერლინიც.

„სირიაში ვერავითარი აღდგენა ვერ განხორციელდება, თუ იქ ცვლილებები არ მოხდება. ინვესტიციას არავინ ჩადებს სირიაში, ვიდრე იქ გრძელდება სამოქალაქო ომი და შეიარაღებული კონფლიქტი. არავინ დააფინანსებს ბატონ ასადს და რუსეთმა იცის, რომ მარტო ვერ ზიდავს ამ ფინანსურ ტვირთს“, - განაცხადა 11 აპრილს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა.

დასავლეთის კრიტიკას არ იზიარებს რუსეთი, რომელიც მიიჩნევს, რომ სირიის ხელისუფლების ოპონენტებს დღემდე არ წარმოუდგენიათ დამაჯერებელი ფაქტები იდლიბის პროვინციაში განხორციელებული ქიმიური თავდასხმის შესახებ.

„რუსეთი ამ დღეებში აპირებს ოფიციალურად მიმართოს გაეროს შესაბამის საგამოძიებო სტრუქტურას ჰააგაში და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, გულმოდგინედ იქნეს გამოძიებული ეს მოვლენა და, გამოძიების შედეგებიდან გამომდინარე, მიღებული იქნეს აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებები“, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, 11აპრილს იტალიის პრეზიდენტ სერჯო მატარელასთან შეხვედრის შემდეგ. უფრო მეტიც, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოსკოვს მოეპოვება ინფორმაცია, რომ სირიელ მეამბოხეებს ქიმიური იარაღი მომარაგებული აქვთ დამასკის შემოგარენში, რათა იქაც განმეორდეს იგივე ტრაგედია, რაც 4 აპრილს ქალაქ ხან-შეიხუნში მოხდა.

ამ ურთიერთბრალდებების ფონზე ჩადის რუსეთში პირველად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. რექს ტილერსონი 12 აპრილს შეხვდება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს. წინასწარი ინფორმაციით, სწორედ სირიაში განვითარებული მოვლენები იქნება მოსკოვში დაგეგმილი მოლაპარაკების მთავარი საკითხი. კრემლმა განაცხადა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოსკოვში ვიზიტის დროს არ იგეგმება რექს ტილერსონისა და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის, შეხვედრა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ოთხშაბათს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი მოსკოვში შეხვდა რუსეთის ლიდერებს. პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან მისი ორსაათიანი შეხვედრა შედგა მზარდი დაძაბულობის ფონზე, რომლის საფუძველია რუსეთის მხარდაჭერა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისადმი.

შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე პუტინმა განაცხადა, რომ მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობა გაუარესდა აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ. თავის მხრივ, ტრამპმაც თქვა, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობა ახლა, შესაძლოა, ყველაზე უარესი იყოს, ვიდრე როდისმე ყოფილა. ეს განცხადება ტრამპმა თეთრ სახლში გააკეთა რექს ტილერსონისა და მისი რუსი კოლეგის, სერგეი ლავროვის შეხვედრის შემდეგ.

ეს შეხვედრა ტილერსონ-პუტინის შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა და რამდენიმე საათს გასტანა. მოლაპარაკების შემდეგ ლავროვმა აღნიშნა, რომ ტილერსონთან საუბარი „შინაარსიანი“ და „მეტად გულახდილი“ იყო და რომ აშშ-რუსეთის თანამშრომლობით მთელი მსოფლიო იხეირებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დასძინა, რომ ის და ტილერსონი შეთანხდნენ საგანგებო წარმომადგენელთა დანიშვნაზე, რომლებიც მათ დაეხმარებიან ორმხრივ ურთიერთობებში წარმოშობილ გაუგებრობათა აღმოფხვრაში.

ტილერსონის ვიზიტი ტრამპის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლის პირველი სტუმრობა იყო რუსეთში.

სასაკლაოდ ქცეული ბზობის წირვა – ეკლესიებში 2 ტერაქტის შედეგად 36 ადამიანი გარდაიცვალა

ეგვიპტეში ორი აფეთქების შედეგად სულ მცირე 36 ადამიანი გარდაიცვალა, ორივე შემთხვევა ქრისტიანულ, კოპტურ ეკლესიებში ბზობის საზეიმო ღვთისმსახურებაზე მოხდა.

პირველი აფეთქება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მოხდა ქალაქ ტანტაში, 25 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა. ეკლესიაში იმყოფებოდა ქრისტიანი კოპტების პატრიარქიც. ოფიციალური წყაროების ცნობით, ის არ დაშავებულა.

ცოტა ხნის შემდეგ კი მეორე ტერაქტი მოხდა — კვლავ ეკლესიაში, ამჯერად ქალაქ ალექსანდრიაში. შედეგად 11 ადამიანი გარდაიცვალა.

პატრიარქის პირადი მდივნის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმკვლელმა ტერორისტმა ტაძრის შესასვლელში აამოქმედა, ამ დროს საზეიმო წირვა მიმდინარეობდა.

აფეთქების გეგმის მიხედვით, რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო მსხვერპლი, ამიტომ ტერაქტისთვის ბზობის დღესასწაული შეარჩიეს.

პოლიცია უახლოეს ტაძრებს ამოწმებს, სადაც, შესაძლოა, ასევე იყოს ასაფეთქებელი მოწყობილობები დამონტაჟებული. ორივე ტერაქტი საკუთარ თავზე "ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო.

ხსოვნა

ლიკა ხატიაშვილი

არა, მონატრება, მერე დაიწყება,
დღეს კი სულში მხოლოდ წვიმის შხეფებია,
საით, საით წახვალ სულის სინათლიდან,
გულის სიკეთიდან, დაო-ლიკუნია,
„ოსანას“ გალობდა შენი ანგელოზი,
მადლი ზეციური შენს სულს ზედ ჰფენია,
შენ ხომ ამღლება გდევდა ანგელოზად
აქაც, ამ მიწაზე, დაო-ლიკუნია,
სულ უცოდველო, მზეო სიკეთისა,
სულ გაქქეცი განა, შე ფრენია?!
ვხედავ ანგელოზებს ციურ ბილიკებზე
მიჰყავთ სასოებით ჩემი დაიკონა.

შენი მშობლები, შენი და.

ეთერ (ეთო) ბეჭაშვილი



ჩემო საყვარელო დედიკო, მე და ანი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელიც მესამედ მოდის უშენოდ. დედა, ძალიან გვენატრები, შენი სითბო და სიყვარული გვაკლია, შენს შვილებს, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება. დედა, ბებიაც იტანჯება უშენოდ. შენი დები და დისშვილები, მამა და ყველა ჩვენ გილოცავთ აღდგომას. მშვიდობით განისვენე დედა.

დედა! ყველაზე წმინდა ხარ
დედი! უზომოდ მიყვარხარ
მზე ხარ!ქარი ხარ! ცა ხარ!
ასე ძლიერი რა ხარ?
მკერდში რომ გული გიცემს!
ვიცი რომ ჩემთვის ფეთქავს
არ ვიცი... როგორ გითხრა...
დედი...! მიყვარხარ...! დედა...
დეე! მართლაც რომ წმინდა ხარ
ასეთი თბილი ვინა ხარ?
უფლისგან გამოგზავნილი
ანგელოზი ხარ ციდან ხა!
დედი! მჯირდები, ვფიცავარ!!!

სალომე და ანი გურასპაშვილები

ილიკო შარვაძე

უშენოდ უკვე მეხუთედ მოვიდა გაზაფხული. მზემ თავისი სხივებით გაათბო ჰაერი და მიწა, გაიღვიძა მიძინებულმა ბუნებამ, აყვავდა ხეხილი, ამწვანდა მთა და ბარი. ბუნებამ ახალი სიცოცხლე დაიწყო. მაგრამ ვაი, რომ შენ ვეღარ დაიწყებ ახალ ცხოვრებას, რადგან მზის სხივები ისე ვერ გაათბობს მიწის იმ პატარა ნაწილს, რომ შენც გაგაღვიძოს და სიცოცხლე დაგიბრუნოს, შენ თუ ვერ მოაღწევ ჩემამდე, სამაგიეროდ მე მაქვს შენთან მოსვლის აუცულებელი გარანტია, მაგრამ როდის, ჩემო ილიკო, ეს არავინ იცის, ეს მხოლოდ უფლის ნებაა.

მეხუთე გაზაფხულია, ცრემლით, ტკივილით და მწარე რეალობით გეხმაურები გაზეთის ამ მტკივნეული გვერდიდან, ჩემო უდროოდ გაფრენილო შვილო და გილოცავ გაზაფხულის მოსვლას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ხსოვნის დღე კი შვილმკვდარი დედისათვის არ არსებობს, ყოველი დღე შენ გეკუთვნის, შენი სახე მიდგას თვალწინ. ეს პატარა შეხმიანება მოაღწევს თქვენამდე, ჩემო უდროოდ წასულო ქმარ-შვილო და ჩემო ძვირფასო მშობლებო. რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, ჩემთვის დრო მკურნალი არასოდეს იქნება.

სულ მენატრებით, თვალწინ მიდგეხართ, ჩემო მოურჩენელო ტკივილებო. თქვენ ვერ გაიგებთ ჩემს გულის ტკივილს, რადგან აღარ ხართ, ვერ გაიგებთ რა დარდიც მკლავს. ვერ შევეგუე ცხოვრებას, რასაც უთქვენობა ჰქვია.

საყვარელი ადამიანის დაკარგვა დიდი ტკივილია, ამბობენ, ტკივილი ადამიანს არ კლავს, ტანჯავს და სიცოცხლეს უმწარებსო. შენმა უდროოდ წასვლამ, მე სიცოცხლე გამიმწარა, შვილო, უშენობა მძიმე სასჯელია ჩემთვის, „შვილის სიკვდილი მძიმე არის, მძიმე ყველაზე“. უფერულია ცხოვრება უშენოდ, ჩემო ილიკო.

როფორ მინდა მოგეფერო, გულში ჩაგიკრა და გითხრა, რომ ძალიან მენატრები და ტკივილამდე მიყვარხარ. ნეტავ კიდევ რამდენი ზამთარი უნდა გავიდეს, რამდენი ზაფხული, რომ მოვიდე ჩემს ერთადერთ შვილთან.

გემუდარები, სიზმარში მაინც მოდი, რომ მოგეფერო, გულში ჩაგიკრა და ჩაგეხუტო, სიზმარში მაინც ვიგემო ის ბედნიერი წუთები, რაც ცხადად ასე აუხდენელი გამიხდა, ჩემო ბიჭო. ჩემთვის სურათზე გაყინული ღიმილის ყურება ძალიან ძნელია, მე შენ მჭირდები, ჩემო ერთადერთო. ძნელია შენზე წარსულში საუბარი. შენ სიცოცხლით სავსე იყავი, შენი ლამაზი ცისფერი თვალები ხომ მუდამ სითბოს და სიყვარულს ასხივებდა.

შენი წასვლით საძირკველი გამოეცალა ჩემს ოჯახს, თავზარი დამცა და მიწასთან გამასწორა. შენ ჩემი ოჯახის ახალგაზრდა და ძლიერი ფესვი იყავი, შენ უნდა ყოფილიყავი შენი ოჯახის ბურჯი. ღმერთის მადლით დატოვე ორი პატარა შვილი, რომლებიც გამრავლდებიან და შენს სახელს არ დაივიწყებენ და არ შეგარცხვენენ. შენი პატარა ილიკო ხომ შენი სახელის და გვარის გამგრძელებელია, მაგრამ ვაი, რომ შენ ამას ვერ მოესწარი, შვილო და ვერ დაინახავ.

ძნელია სიცოცხლე შვილმკვდარი დედისა და ყოველდიური მოლოდინი ერთადერთი შვილისა. შენ იყავი ჩემი ძლიერი საყრდენი კედელი, ჩემო ილიკო.

არ არსებობს სიტყვა და საქმე, რომელიც შვილის ტკივილს დაუყუჩებს დედას. შენს ოჯახში საუკუნო ხატი გიდგას ხსოვნისა, მაგრამ ეს ვერ აშუშებს დედის გულის იარას.

ტყუილი იმედია, რომ გაზაფხულთან ერთად მოხვალ. როგორ ვიფიქრებდი, რომ ამდენ ხანს ვიცოცხლებდი უშენოდ, ეს სასჯელია, მკაცრი განაჩენი, მაგრამ რა ვქნა, რეალობას ვერსად გავექცევი და მინდა არ მინდა, ჩემი ცხოვრების ბოლომდე უნდა ვატარო ეს „მძიმე ჯვარი“, რასაც შვილმკვდარი დედა ჰქვია.

მე შენი სულის უკვდავსაყოფად ვლოცულობ და ვილოცებ სიკვდილამდე. დაე, მუდამ გინათებდეს ცათა სასუფეველს ჩემგან დანთებული სანთლები, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული შენს საყვარელ მამასთან და ახლობლებთან ერთად და კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჩემო ძვირფასებო.

ღვთიური მადლი ეფინოს შენს სამუდამო სამყოფელს, ჩემო კეთილო, ალალმართალო, მოკრძალებულო ვაჟკაცო, ილიკო!

შენი მონატრებული დედა:
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი



ჩვენო საყვარელო ბათია, 18 აპრილს შენი დაბადების დღეა. შენ 50 წლის გახდებოდი. შენი წასვლით მუდამ თან გვდევს გულისტკივილი, ცრემლი და საშინელი სიცარიელე. უშენოდ ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრება და სიცოცხლე ჰქვია.

გაზაფხული ტკივილით მოვიდა. 18 აპრილის მოსვლა ყოველთვის გვიმძიმს.

შენი შვილიშვილები სალომე და თეკლე, ყოველთვის ეფერებიან შენს სურათს. იმედი აქვთ, რომ მოხვალ და გულში ჩაიკრავ. თავისი პატარა ხელებით ყოველთვის მოგიტანენ ყვავილებს, დაგინთებენ სანთლებს, რომლის სიკაშკაშე გზას გაგინათებს სამარადისო სასუფეველში.

ენატრები შენს ერთადერთ საამაყო შვილს ილიკოს, რძალს -ნინოს, შენს საყვარელ ნონას, შენგან გულნატკენს, შენს ერთადერთ ძმას, რძალს, ძმისშვილებს. მათ ხომ შენგან მხოლოდ გაყინული საფლავის ქვა დარჩათ, ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი.

გპირდებით, სანამ ცოცხლები ვართ, ლოცვას არ მოგაკლებთ. მოვალთ შენს საფლავთან და დაგინთებთ წმინდა სანთლებს,იქნებ ასე უფრო შგვიმსუბუქდეს ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ოჯახი

ელიოზ ყველაშვილი

ქრისტე აღსდგა! აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ. მძიმეა ჩვენთვის ამის მოლოცვა, ძალიან მიჭირს ამ სიტყვების დაწერა, ცრემლებს ვერ ვიკავებ, ვერავინ ვერ შეძლებს ამ ტკივილის განელებას.

ძალიან მალე გავიდა ერთი წელი. შენს ოჯახში დარდმა და ტკივილმა დაისადგურა. გვენატრება შენი ხმა, შენი ღიმილი, ტკივილიანი მოგონებები დაგვიტოვე. მარიამმა სიზმარში გნახა და ასე მითხრა პაპამ, მარი, ძალიან მიყვარხარო, ტირილით ყვებოდა, რომ გაიღვიძა. მაკა ხომ საერთოდ სულ შენზე ლაპარაკობს. შენი სიკეთე ყოველთვის ხიდად გვექნება ჩვენ ოჯახში. შენ სიკვდილის უფლება არ გქონდა, მარის ახლა სჭირდება შენი ხელი. სული მტკივა როცა ვფიქრობ, რომ შენ, ვერასოდეს დაგინახავთ.

ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა, ვილოცებთ შენთვის, სანთელ-საკმეველი გინათებდეს სავალ გზას. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

მეუღლე ეთერი, **შვილი** მაკა **და შვილიშვილი** მარიამი;

ვლადიმერ ქისტაური

ჩემო ლადიკო, გავიდა ცივი ზამთარი, ბუნებამ გამოიღვიძა, თბება, მაგრამ, შვილო, ჩემი გული ვერ თბება, 2010 წლის 13 აპრილიდან შენ გელოდება.მხოლოდ შენ შეგიძლია მისი გათბობა. დღემდე ველოდები შენს ფათიფუთით სახლში შემოსვლას. ხშირად მესმის შენი ფეხის ხმა, კიბეებზე ჩარბენა, ჩემო შვილო, შენ დღეს ყველას დანანებით და ტკივილით ახსოვხარ და გულისტკივილით იხსენებენ იმ საშინელ დღეს, რომელმაც შენი თავი წაგვართვა. შენი მეგობრები არ გივიწყებენ, გვანუგეშებენ. „კარგი იყო და უფალსაც კარგი უნდაო“. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, დაგვეხმარონ და პატივი გვცენ ჩვენ მოხუცებს და შენს ცოლშვილსაც.

შვილო, შენი შვილები იზრდებიან, ანა უკვე მესამე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. შენი მოსახელე და უცნობი შვილი ლადიკო, რომელიც შენ დედის მუცელში დატოვე, ბაღში დადის (მას პაპა ლომს ეძახის), ღვთის წყალობით კარგი ვაჟკაცი დადგება.

ჩვენ გვანუგეშებენ ახლობლები, მეზობლები, მაგრამ შვილდაკარგული მშობლებისათვის ნუგეში შეუძლებელია, მხოლოდ ეს ვიცით , რომ მალე მოხდება შენი მშობლების შენთან შხვედრა, ეს კი ნუგეშზე ბევრად მეტია. მანამდე კი ღვთისმშობელს ვავედრებ შენს სულს, დაგიფაროს და დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი დედა და ცოლ-შვილი

თემურ ზოშიაშვილი

11 აპრილს შენი დაბადების დღეა, ჩვენო გულიანო, კაცთმოყვარე მამა. რაც დრო გადის, უსაშველოდ გვენატრები და ეს მონატრება გაუსაძლისია, ვერ ვეგუებით უშენობას... შენი სახელი უკვდავი იქნება, რადგან შენი შვილები მუდამ იამაყებენ შენით, მამით, რომელმაც კაცური კაცისა და კარგი ადამიანის სახელი დატოვა ამქვეყნად. ჩვენს გულებში იცოცხლებ მანამ, სანამ შენი შვილები, პატარა შვილიშვილი მათე, ნათესავები და მეგობრები იქნებიან, სანამ ერთი ადამიანიც კი შეძლებს ჭიქა ღვინით და ერთი სანთლით შენს მოგონებას და შესანდობრის დალევას...

წელს უკვე მეორედ მოვალთ შენს გაყინულ სურათთან ყვავილებით, მოგილოცავთ 65 წლისთავს და ღმერთს შევთხოვთ, რომ დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

შენი ოჯახი

ნინა ბუჩუკური

ძნელი ყოფილა დედის სითბოსთან და ალერსთან განშორება. რამდენი ტკივილი და მოგონება დაგვიტოვე, დედიკო, როგორ გავუძლო ამ ყველაფერს, როცა შენ ჩემთან აღარ ხარ. 7 აპრილს, ხარება დღეს, ერთი წლის წინ მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. დედა, როგორ გიყვარდა ყველა რელიგიური დღესასწაული, ყოველთვის სანთელს ანთებდი, მარხვას ინახავდი, ყველაფერს რეალობაში ხედავდი, ჩემო დედიკო, უშენობას ვეღარ ვუძლებ, რა ვქნა, დედა, მენატრები ძალიან.

საფლავის ქვაზე რა გინდა, დედა,
რატომ დაკარგე სახე ღიმილის,
შენ ხომ გაზაფხულს ელოდი,
სიცოცხლე ნატვრად გექცა
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისული,
ცრემლი მოგადგა თვალზე,
რისთვის ჩაგიქრა იმედის კვრა,
რატომ ინება ბუნებამ შენი წასვლა.
შენ ხომ ობლობას ემალებოდი,
მშიერიც იუავ ჰატარა,
მაგრა არასოდეს დაიჩივლი,
რომ ბედისწერამ ასე გატარა.

შენი შვილები ლუიზა და ნანა

აღდგომა და ტრადიციები

აღდგომა – უმთავრესი დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა.

ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა—ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!“ ამ დღეს ჩვენში ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას. მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული. აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის.

საღდგომო სუფრა

როგორც ვთქვით, ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სუნელებით შეკმაზული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება – ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

საღდგომო ტრადიციები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი. მაგალითად, ყაზბეგში, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“ რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ – „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიასთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“ ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესაწირი გამოჰქონდა – წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესაწირს მოხევეები ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ და ყველისა და კვერცხის პურის კვერებს აცხობდნენ. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა. სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელ სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით, წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი საღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

ულოცავენ!

მაია ყოჩიაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენ, დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, უამრავი რამ გააკეთეთ ბაღებისთვის და ჩვენი მომავალი თაობისათვის. თქვენ ჩვენი გულშემატკივარი ხართ! ყოველთვის გქონოდეთ ძალა და ენერგია ბევრი კეთილი საქმის საკეთებლად!

პატივისცემით,
ქ. დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები

ლერი კვაჭანტირაძეს!

სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირ „გვარიშვილობის“ პრეზიდენტს, პრესტიჟული ნომინაციის „ქვეყნისთვის საჭირო ადამიანის“ მფლობელს, შესანიშნავ ადამიანს და პუბლიცისტს, კარგ მეგობარს და ახლობელს ლერი კვაჭანტირაძეს ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს.

პატივისცემით,
ახლობლების და მეგობრების სახელით,
ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ნანული ნატროშვილი და ნანა ჭიჭინაძე.

ჩვენთვის ძალიან ძვირფასო ადამიანო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს -80 წლისათვს. გისურვებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას და ბედნიერ სიბერეს. უფალი გფარავდეს.

რძალი ფიქრია ალიკოშვილი, **ძმა** მარლენი,
ძმისშვილები: ზვიადი და მაია კვაჭანტირაძეები ოჯახებით.

ჩვენო სიყრმის მეგობარო, გილოცავთ 80 წლისთავს. იყავ დღეგრძელი და ბედნიერი. ნუ შეგაშინებს წელთა სიმრავლე, მთავარი შინაგანი სიძლიერეა, რაც შენ არ გაკლია. კვლავაც დიდხანს გვეგულებოდე.

პატივისცემით, ლალი გოჭორიშვილი,
ჯიმი, გია და ლია ალულიშვილები ოჯახებით.

იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (სოკარის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა17. შესაძლებელია გაცვლა კერძო საცხოვრებელ ბინაზე. ფასი შეთანხმებით.
☎ 591 80 35 13.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.04	სამშაბათი 18.04	ოთხშაბათი 19.04	ხუთშაბათი 20.04	პარასკევი 21.04	შაბათი 22.04	კვირა 23.04
დღე	13 °	16 °	14 °	14 °	18 °	14 °	14 °
ღამე	12 °	14 °	9 °	13 °	15 °	13 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.